

დეივონ ვიდსონი : "რუსეთის აგრესიამ გამოიწვია ახალი რეალობის შექმნა"



რუსეთი ცდილობს, თავისი მებობრები, უკეთეს შემთხვევაში, „ნაცრისფერ ზონაში“ ჰყავდეს, ხოლო უარეს შემთხვევაში – თავისი ბატონობის ქვეშ, – ამის შესახებ U.S. Atlantic Council-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა, დეივონ

ვიდსონმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში მოქმედი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის (ჰედსინკის კომისია) ფარგლებში გამართულ მოსმენაზე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოსმენაზე დეივონ ვიდსონმა ვრცლად ისაუბრა 2008 წლის რუსეთის აგრესიისა და ნატო-ს ბუქარესტის სამიტის 10 წლისთავზე, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე, არსებულ მდგომარეობასა და მის გავდენაზე, როგორც აშშ-ის ინტერესებზე, ასევე საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

მისი თქმით, რუსეთის აგრესიამ გამოიწვია ახალი რეალობის შექმნა და აღიანსის წევრებს ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებისკენ უბიძგა.

„რუსეთის რევანშისტური პოლიტიკისა და მის მიერ საერთაშორისო წესრიგის რღვევამ განაპირობა, რომ ბრიუსელში ჩვენ გახდით მოწმე, რომ მიუხედავად ტრანსატრანტიკური დაძაბულობისა და განსხვავებებისა, აღიანსის წევრებს შორის სუფევდა კონსენსუსი გაფართოების პოლიტიკასთან მიმართებით. გაფართოების პოლიტიკა სტაბილურობის გარანტორია, ის ემსახურება აშშ-ის ინტერესებს, მიესადარმება იმ ქვეყნებს, ვინც მზად არიან იმ

პასუხისმგებლობისთვის, რასაც ადიანსის წევრობა ითვარისწინებს და აძღვრებს ქვეყნების იმუნიტეტს რუსეთის მცდელობების მიმართ, მოახდინოს მათი დესტაბილიზაცია“, – აღნიშნა დეიმონ ვირსონმა.

დეიმონ ვირსონმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე გაწეული ძარისხმევა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილი და აღნიშნა, რომ ყოვერივე ეს ქმნის სოლიდურ საფუძველს ინტეგრაციის პროცესის შემდგომი განვითარებისთვის, როცა ადიანსმა ქმედით ნაბიჯები უნდა გადადგას.

„მოკავშირეებმა მკაფიოდ უნდა დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, რომ გაფართოების გადაწყვეტილებაზე გავრენას ვერ მოახდენს მესამე მხარის ვეტო, რაც ნიშნავს, რომ რუსეთის ოკუპაცია ვერ იქცევა დაბრკოლებად წევრობისთვის. სხვებთან შედარებით, საქართველომ და უკრაინამ ბევრად მეტი იბრძოღეს ნატო-ს პრინციპების დასაცავად. ისინი მზად არიან, წარმოადგენდნენ ადიანსის მნიშვნელოვან კონტრიბუტორებს. ორივე ქვეყანა თავდაცვის ბიუჯეტისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის ორ პროცენტს გამოყოფს. საქართველო წარმოადგენს ნატო-სა და სხვა საერთაშორისო მისიების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონტრიბუტორს. თუ დავუშვებთ ამ ქვეყნების მისწრაფებათა რუსეთის საოკუპაციო და დაშინების პოლიტიკის მძევლად ქცევას, ეს იქნება წინაპირობა ევროპაში კონფლიქტებისა და არასტაბილურობის შესაქმნელად. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი თავისუფლების ფრამანები არიან და საბოლოოდ უნდა დავუმკვიდროთ მათ ადგილი ადიანსში, რაც ევროპის აღმოსავლეთით მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტიაა“, – აღნიშნა ვირსონმა.

მოსმენაზე სიტყვით გამოსვლისას აშშ-ში საქართველოს ეღრმა, დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ რუსეთი განაგრძობს აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც ე.წ. გავრენის ზონების შენარჩუნებისკენაა მიმართული. მისივე თქმით, აშშ-ის მტკიცე პოზიცია გადამწყვეტია რუსეთისთვის მკაფიო გზავნილის მისაწოდებლად, რომ საქართველოს წინააღმდეგ მისი პოლიტიკა მიუღებელია. დავით ბაქრაძემ გამოსვლისას ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა პარტნიორებისგან ოთხობორია-ტატუნაშვილის სიაში შეყვანილი პირების წინააღმდეგ სანქციების

დაწესებას ელოდება.

1tv.ge